ხელშეკრულება 14

ქ. ცაგერი

22.11.2023 წ.

ერთის მხრივ, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია, მერის ლევან ზალკალიანის სახით (შემდგომში „დამკვეთი"), და, მეორეს მხრივ, ა(ა)იპ „ერთად რეალური ცვლილებებისათვის" (ს/კ 401981931), წარმოდგენილი მისი გამგეობის თავმჯდომარე ნანა ლომაძის სახით (შემდგომში „თანხის მიმღები"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი.

წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ „ერთად რეალური ცვლილებებისათვის" (ს/კ 401981931) დაქვემდებარებაში მყოფი სოფ. ლასურიაშის შშმ პირთა/ბავშვთა საკვირაო სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების მომსახურება.

მუხლი 2. „თანხის მიმღები"-ს უფლება-მოვალეობები.

2.1. *„თანხის მიმღები"-ს ვალდებულებები:*

2.1.1. კეთილსინდისიერად, დროულად, მაღალ პროფესიულ დონეზე და სრულად შეასრულოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „ერთად რეალური ცვლილებებისათვის" თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების მემორანდუმით დადგენილი ალტერნატიული განათლების საკვირაო სკოლის პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებები.

2.2. *„თანხის მიმღები"-ს უფლებამოსილებები:*

2.1.1 ,,დამკვეთს" მოსთხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის დროულად გადახდა;

2.1.2 მერიის მხრიდან თანხის ანაზღაურება ხდება ერთიანად ან ეტაპობრივად შესაბამისი დაწესებულებიდან წარმოდგენილი ინვოისის შესაბამისად ერთი თვის ვადაში;

2.2.3. საკვირაო სკოლის ხელმძღვანელი ვალდებულია ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს პერიოდულად წარუდგინოს ფინანსური ანგარიში შესრულებული სამუშაოების შესახებ. აქვე, ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია მიმდინარე ან დაგეგმილი პროგრამებისა და საქმიანობის შესახებ;

2.2.4. ისარგებლოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებით.

მუხლი 3. „დამკვეთი"-ს უფლება-მოვალეობები:

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროისა და პირობების დაცვით ,,თანხის მიმღებს" გადაუხადოს შესრულებული სამუშაოს საზღაური.

3.2. *„დამკვეთი"-ს უფლებამოსილება:*

3.2.1. ,,თანხის მიმღებ"-ს მოსთხოვოს სამუშაოს ხარისხიანი და დროული შესრულება;

3.2.2. ხელშეკრულების დარღვევისა და მოვალეობების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში გაწყვიტოს მოცემული ხელშეკრულება ,,თანხის მიმღებთან" ან/და დააყენოს ,,თანხის მიმღები"-ს პასუხისმგებლობის საკითხი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადა.

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება უნდა შესრულდეს 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 5. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება.

5.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 27124,32 (ოცდაშვიდი ათას ას ოცდაოთხი ლარი და 32 თეთრი) ლარს ყველა გადასახადის ჩათვლით.

5.2. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. (ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს აღნიშნულ ანგარიშზე: ს.ს "თიბისი ბანკი". ბანკის კოდი: TBCBGE22. ა/№ GE08TB7755536080100005). ს/კ 401981931.

5.3. დაფინანსების წყარო ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

მუხლი 6. მოქმედების ვადა.

6.1. ხელშეკრულება იდება განსაზღვრული ვადით, იგი ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებამდე, არა უგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

6.2. ხელშეკრულების მოქმედება შიძლება შეჩერდეს ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის 20 (ოცი) სამუშაო დღით ადრე წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, თუ არსებობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ხელისშემშლელი პირობები;

6.3. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა დასაშვებია მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები.

7.1. ხელშეკრულების დაუძლეველი ძალით გამოწვეული შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.
7.2. ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის კანონთან შეუსაბამობის შემთხვევაში, ძალადაკარგულად გამოცხადდება მხოლოდ ერთი პუნქტი და არა მთელი ხელშეკრულება.
7.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერების შემდეგ.
7.4. მხარეთა შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, პრობლემა უნდა მოგვარდეს ურთიერთმოლაპარაკებით, აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში დავა უნდა გადაწყდეს საქართველოს კანონმდებლობით სასამართლოში.
წინამდებარე ხელშეკრულება მხარეებისათვის შედგენილია ორ თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად.

მუხლი 8. ხელმოწერები.

„დამკვეთი“

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი:
ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. N 58
სახელმწიფო ხაზინა
კოდი:TRESGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ს/კ: 242 574 460

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი:
ლევან ზალკალიანი

/----------/

,,თანხის მიმღები“

ა(ა)იპ „ერთად რეალური ცვლილებებისათვის“
ს/კ: 401981931
ს.ს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/№ GE08TB7755536080100005

გამგეობის თავმჯდომარე:
ნანა ლომაძე

ნ. ლომაძე

/----------/